თიანეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სხდომის ო ქ მ ი №11

დ. თიანეთი **2010 წლის 17 ივნისი**

ესწრებოდნენ:
სხდომის თავმჯდომარე: ნუგზარ ყურშავიშვილი - თიანეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს უხუცესი წევრი

სხდომის მდივანი: ხალიანა არჩემაშვილი - თიანეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო განყოფილების მთავარი სპეციალისტი

მაჟორიტარული და პროპორციული საარჩევნო სისტემით არჩეული საკრებულოს წევრები: გივი წიკლაური, გიმზერ გოჯიაშვილი, გოჩა ჯანგირაშვილი, ზაზა ბადურაშვილი, იაგო შარაზადიშვილი, ირაკლი დიდებაშვილი, მერაბ ძებნიაური, ზურაბ ბექაური, ზურაბ დავითაშვილი, იოსებ ფილაური, ბესიკ გიგაური, ზვიად ჯაბანიშვილი, დავით ჭინჭარაული, ნუკრი ქავთარაძე, გრიშა მინდიკაური, მინდია ფეტვიაშვილი, მერაბ ქეშიკაშვილი, თამაზ პატარაშვილი, თეიმურაზ ცოცხალაშვილი, თამაზ სისაური

გიორგი ცალუღელაშვილი - №19-ე თიანეთის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე

ირინე მამიაური - თიანეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი

ინგა ჭყრუნიშვილი - თიანეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის თანაშემწე

დღის წესრიგი

1. ,,თიანეთის მუნიციპალიტეტში 2010 წლის 30 მაისის ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს - საკრებულოს არჩევნების შედეგების შესახებ'' №19-ე თიანეთის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის გ. ცალუღელაშვილის მოხსენების მოსმენის თაობაზე
(მომხსენებელი: გიორგი ცალუღელაშვილი)
2. თიანეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ხმისდამთვლელი დროებითი კომისიის არჩევის შესახებ
(მომხსენებელი: ნუგზარ ყურშავიშვილი)
3. თიანეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო დროებითი კომისიის არჩევის შესახებ
(მომხსენებელი: ნუგზარ ყურშავიშვილი)
4. თიანეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრთა უფლებამოსილების ცნობის შესახებ
(მომხსენებელი: ნუგზარ ყურშავიშვილი)
5. თიანეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის არჩევის შესახებ
(მომხსენებელი: ნუგზარ ყურშავიშვილი)

6. თიანეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის არჩევის შესახებ

(მომხსენებელი: ნუგზარ ყურშავიშვილი)

7. თიანეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარისათვის თიანეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ

(მომხსენებელი: ნუგზარ ყურშავიშვილი)

8. თიანეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მუდმივი კომისიების შექმნის შესახებ

(მომხსენებელი: ნუგზარ ყურშავიშვილი)

9. „თიანეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიმდინარე წლის მესამე კვარტლის სამუშაო გეგმის განხილვა-დამტკიცების შესახებ.“

(მომხსენებელი: ნუგზარ ყურშავიშვილი)

მოისმინეს: 1. ,,თიანეთის მუნიციპალიტეტში 2010 წლის 30 მაისის ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს - საკრებულოს არჩევნების შედეგების შესახებ'' №19-ე თიანეთის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის გ. ცალუღელაშვილის მოხსენების მოსმენის თაობაზე

(მომხსენებელი: გიორგი ცალუღელაშვილი)

აზრი გამოთქვეს: ზაზა ბადურაშვილმა, გოჩა ჯანგირაშვილმა

ღია კენჭისყრის შედეგად

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 23-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, თიანეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დებულების (რეგლამენტის) მე-40 მუხლის მე-2 პუნქტის და 41-ე მუხლის საფუძველზე

თიანეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:**

ცნობად იქნეს მიღებული №19-ე თიანეთის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის გიორგი ცალუღელაშვილის მოხსენება ,,თიანეთის მუნიციპალიტეტში 2010 წლის 30 მაისის ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს - საკრებულოს არჩევნების შედეგების შესახებ''.

(განკარგულება თან ერთვის)

მოისმინეს: 2. თიანეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ხმისდამთვლელი დროებითი კომისიის არჩევის შესახებ

(მომხსენებელი: ნუგზარ ყურშავიშვილი)

აზრი გამოთქვეს: ზურაბ ბექაურმა,

თიანეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე ხმისდამთვლელი დროებითი კომისიის შექმნის მიზნით, დასახელებულ იქნა გოჩა ჯანგირაშვილის, ზაზა ბადურაშვილის და ზურაბ დავითაშვილის კანდიდატურები.

ღია კენჭისყრის შედეგად

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 23-ე მუხლის და თიანეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დებულების (რეგლამენტის) 42-ე მუხლის საფუძველზე

თიანეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

არჩეულ იქნას თიანეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ხმისდამთვლელი დროებითი კომისია შემდეგი შემადგენლობით: გოჩა ჯანგირაშვილი, ზაზა ბადურაშვილი და ზურაბ დავითაშვილი. კანონმდებლობით დადგენილი წესით, კომისიის მიერ თავისი შემადგენლობიდან, ღია კენჭისყრით, ხმების უმრავლესობით, კომისიის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა გოჩა ჯანგირაშვილი და მდივნად - ზაზა ბადურაშვილი.

(განკარგულება თან ერთვის)

მოისმინეს: 3. თიანეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო დროებითი კომისიის არჩევის შესახებ

(მომხსენებელი: ნუგზარ ყურშავიშვილი)

აზრი გამოთქვეს: ნუგზარ ყურშავიშვილმა, ირაკლი დიდებაშვილმა

თიანეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე სამანდატო დროებითი კომისიის შექმნის მიზნით, დასახელებულ იქნა ზურაბ ბექაურის, მერაბ ქეშიკაშვილის და მერაბ ძებნიაურის კანდიდატურები.

ღია კენჭისყრის შედეგად

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 23-ე მუხლის და თიანეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დებულების (რეგლამენტის) 43-ე მუხლის საფუძველზე

თიანეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

არჩეულ იქნას თიანეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო დროებითი კომისია შემდეგი შემადგენლობით: ზურაბ ბექაური, მერაბ ქეშიკაშვილი და მერაბ ძებნიაური. კანონმდებლობით დადგენილი წესით, კომისიის მიერ თავისი შემადგენლობიდან, ღია კენჭისყრით, ხმების უმრავლესობით, კომისიის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა მერაბ ქეშიკაშვილი და მდივნად - ზურაბ ბექაური.

(განკარგულება თან ერთვის)

მოისმინეს: 4. თიანეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრთა უფლებამოსილების ცნობის შესახებ

(მომხსენებელი: ნუგზარ ყურშავიშვილი)

აზრი გამოთქვეს: გიმზერ გოჯიაშვილმა, ზურაბ ბექაურმა

ღია კენჭისყრის შედეგად

საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ სამანდატო კომისიას საკრებულოს წევრთა უფლებამოსილების შესამოწმებლად გადასცა საჭირო დოკუმენტაცია, (საარჩევნო ოქმები). სამანდატო კომისიამ წარმოდგენილ მასალებზე დაყრდნობით საკრებულოს წევრთა უფლებამოსილების დასამტკიცებლად წარუდგინა ერთიანი სია.

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 23-ე მუხლის მე-3 პუნქტის და თიანეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დებულების (რეგლამენტის) 44-ე მუხლისა და სამანდატო დროებითი კომისიის 2010 წლის 17 ივნისის №1 ოქმის საფუძველზე

თიანეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. დამტკიცდეს თიანეთის მუნიციპალიტეტის წარმოდგენილ საკრებულოს წევრთა უფლებამოსილება;
2. უფლებამოსილება შეუწყდეს წინა მოწვევის საკრებულოს.

(განკარგულება თან ერთვის)

მოისმინეს: 5. თიანეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის არჩევის შესახებ

(მომხსენებელი: ნუგზარ ყურშავიშვილი)

აზრი გამოთქვეს: ზვიად ჯაბანიშვილმა

საკრებულოს სხდომაზე დადგენილი წესით საკრებულოს თავმჯდომარედ დასახელებულ იქნა გივი წიკლაურის კანდიდატურა. სხდომის თავმჯდომარემ მოითხოვა კენჭისყრა. არჩევნები ჩატარდა ფარული კენჭისყრით, ბიულეტენების საშუალებით. ბიულეტენების მომზადებას, დარიგებისა და კენჭისყრის პროცესს უხელმძღვანელა ხმისდამთვლელმა დროებითმა კომისიამ. კენჭისყრა მოხდა კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 22-ე მუხლის 1-ლი პუნქტის ,,ა'' ქვეპუნქტის და 33-ე მუხლის მე-2 პუნქტის, თიანეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დებულების (რეგლამენტის) 91-ე მუხლის და თიანეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ხმისდამთვლელი დროებითი კომისიის 2010 წლის 17 ივნისის №1 ოქმის თანახმად

თიანეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

არჩეულ იქნას გივი წიკლაური თიანეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის თანამდებობაზე.

(განკარგულება თან ერთვის)

მოისმინეს: 6. თიანეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის არჩევის შესახებ

(მომხსენებელი: ნუგზარ ყურშავიშვილი)

აზრი გამოთქვეს: ზურაბ დავითაშვილმა, მერაბ ქეშიკაშვილმა

საკრებულოს სხდომაზე დადგენილი წესით საკრებულოს თავმჯდომარის გივი წიკლაურის მიერ საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილედ დასახელებულ იქნა ნუგზარ ყურშავიშვილის კანდიდატურა. არჩევნები ჩატარდა ასევე ფარული კენჭისყრით, ბიულეტენების საშუალებით. ბიულეტენების მომზადებას, დარიგებისა და კენჭისყრის პროცესს უხელმძღვანელა ხმისდამთვლელმა დროებითმა კომისიამ. კენჭისყრა მოხდა კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 22-ე მუხლის 1-ლი პუნქტის ,,ა'' ქვეპუნქტის, თიანეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დებულების (რეგლამენტის) 93-ე მუხლის და თიანეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ხმისდამთვლელი დროებითი კომისიის 2010 წლის 17 ივნისის №2 ოქმის თანახმად

თიანეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

არჩეულ იქნას ნუგზარ ყურშავიშვილი თიანეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობაზე.

(განკარგულება თან ერთვის)

მოისმინეს: 7. თიანეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარისათვის თიანეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ

(მომხსენებელი: ნუგზარ ყურშავიშვილი)

აზრი გამოთქვეს: გიმზერ გოჯიაშვილმა, ზურაბ ბექაურმა

ღია კენჭისყრის შედეგად

,,ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ'' საქართველოს ორგანული კანონის 22-ე მუხლის 1-ლი პუნქტის ,,ვ'' ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის მე-3 პუნქტის ,,თ'' ქვეპუნქტის, 39-ე მუხლის 1-ლი პუნქტის საფუძველზე

თიანეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

მიეცეს თანხმობა თიანეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს გივი წიკლაურს გიორგი აბაშვილის თიანეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის თანამდებობაზე დანიშვნაზე.

(განკარგულება თან ერთვის)

მოისმინეს: 8 თიანეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მუდმივმოქმედი კომისიების შექმნის შესახებ

(მომხსენებელი: ნუგზარ ყურშავიშვილი)

აზრი გამოთქვეს: ბესიკ გიგაურმა, ნუკრი ქავთარაძემ

ღია კენჭისყრის შედეგად

,,ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ'' საქართველოს ორგანული კანონის 28-ე მუხლის და თიანეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დებულების (რეგლამენტის) 25-ე მუხლის საფუძველზე

თიანეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

შეიქმნას თიანეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შემდეგი მუდმივი კომისიები:

1. სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისია;
2. საფინანსო-საბიუჯეტო კომისია;
3. ქონების მართვის და ეკონომიკური საკითხების კომისია;
4. სოციალურ საკითხთა კომისია;
5. სივრცით- ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტუქტურის კომისია.

მოისმინეს: 9. „თიანეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიმდინარე წლის მესამე კვარტლის სამუშაო გეგმის განხილვა-დამტკიცების შესახებ.“

(მომხსენებელი: ნუგზარ ყურშავიშვილი)

აზრი გამოთქვეს: ბესიკ გიგაურმა, ნუკრი ქავთარაძემ

ღია კენჭისყრის შედეგად

თიანეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დებულების (რეგლამენტის) 49-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად,

თიანეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

დამტკიცდეს თიანეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიმდინარე წლის მესამე კვარტლის სამუშაო გეგმა.

(განკარგულება თან ერთვის)

თიანეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის
თავმჯდომარე ნ. ყურშავიშვილი